პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 ივლისი სამშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 159 (15069)

გუშინ თბილისში მუშაობას შეუღგა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

სესიამ ერთსმად აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

თბილისი. 1971 წლის 12 ივლისი. საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის სხდომა.
ფოტო ვლ. გინზბურგის და გ. ფახტანგაძისა.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

12 ივლისის დილის სხდომა

ამას წინათ გამართული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები სასახარულო, დიდი დღესასწაული იყო, რომელშაც ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო მშრომელთა მჭიდრო შეკავშირება, პარტიის ბრძნული ლენინური სამშინაო და საგარეო პოლიტიკის მხურვალე მოწონება.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებზე საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც სხვა მომძე რესპუბლიკების მშრომელები, მოვიდნენ ძტკიცე გადაწყვეტილებით შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის წინასწარდასახულობანი, რომელშაც დასახა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგის განვითარების ფართო პროგრამა უახლოესი ხუთი წლისათვის. ამ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამსჭვალულია ზრუნვით საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და აყვავებისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, მხურვალედ და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა.

საქართველოს მშრომელთა მზადება არჩევნებისათვის დაემთხვა დიდმნიშვნელოვან მოვლენას რესპუბლიკის ცხოვრებაში — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულს. იუბილეს დღესასწაული იყო იმ უდიდესი წარმატებების დათვალიერება, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს ნახევარ საუკუნეში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

როცა თავიანთ კანდიდატებს ასახელებდნენ, მშრომელები ერთსულოვნად ასახელებდნენ იმათ, ვინც ერთგულია პარტიის საქმისა, ვინც თავდადებას იჩენდა შრომასა და ხალხისათვის საზოგადოებრივ სამსახურში, ვინც ენერგიას, გონებას, ნიჭს უანგაროდ ახმარდა კომუნიზმის მშენებლობას. 400 დეპუტატია არჩეული რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. ესენი არიან ხალხის ღირსეული შვილები — პარტიული და საბჭოთა მუშაკები, გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამომრჩევლებმა თავიანთ წარგზავნილებს რესპუბლიკის პარლამენტში მისცეს მკაფიო და მტკიცე განწესი: ყველაფერი იღონონ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

12 ივლისს საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესმა საბჭომ მუშაობა დაიწყო. რესპუბლიკის დედაქალაქში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა მისი პირველი სესია.

რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თვითეული სესიის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტისათვის. მაგრამ მაინც ახლანდელ სესიას აქვს თავისი დამახასიათებელი თავისებურება. ღირსშესანიშნავ დროს დაიწყო თავის უფლებამოსილებათა შესრულება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალმა შემადგენლობამ. გულდაჯერებით დაიწყო ქვეყანამ მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი. ჩვენი სამშობლოს ცხოვრების ყოველი ახალი დღე აღსავსეა დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენებით, გაცისკროვნებულია საბჭოთა ადამიანების — ახალი საზოგადოების მშენებლების სახელოვანი საქმეებით. სულ უფრო დიდი გაქანება ენიჭება ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებებით ამაღლებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობით დაიწყო.

რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა დროით ემთხვევა მეცხრე ხუთწლედს. დიდი და პასუხსაგები ამოცანები უნდა გადაწყვიტონ ხალხის რჩეულებმა. ამ ამოცანების წარმატებითი განხორციელება დიდად არის დამოკიდებული თვითეული მათგანის აქტივობაზე, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციის უნარზე.

დილის 11 საათზე დეპუტატები და სტუმრები ადგილებს იკავებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **მ. ა. გოგიჩაიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ს. კ. კურკოტკინი, ო. ი. ლოლაშვილი, ვ. პ. მეავანაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

უხუცესთა საბჭოს დავალებით გამოვიდა დეპუტატი ნ. პ. მამაიაშვილი, რომლის წინადადებით საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას ხსნის ერთ-ერთი უხუცესი დეპუტატი ა. გ. შანიძე.

დეპუტატ ა. გ. შანიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

მე წილად მხვდა პატივი გავხსნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

გთხოვთ მიიღოთ ჩემგან გულითადი მადლობა ამ დიდი პატივისა და ნდობისათვის.

ამა წლის მაისში ჩვენმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა საბჭოთა საქართველოს არსებობის 50 წლისთავი. ამ დიდ ეროვნულ ზეიმს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ, რადგანაც დამაბეული შრომით მოპოვებულია დიდი წარმატებანი ცხოვრების ყოველ დარგში. ბევრი ჩვენგანი მომსწრეა და თავისი თვალით უნახავს, თუ რა დიდი ცვლილება დაეტყო ჩვენი ხალხის ცხოვრებას ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე და როგორ წარიმართა იგი პროგრესის მიმართულებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ ომისაგან მიყენებული წყლულები მოიშუშა, ნელნელა მოშენდა, წელში გასწორდა და დიდი იმედით შეჰყურებს თავის მომავალს.

ახლა ჩვენი უმაღლესი საბჭო იწყებს საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეორე ნახევარ საუკუნეს. თუ პირველმა ნახევარმა დიდად წასწია ჩვენი ხალხი წინ როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ისიც ძალიან მძიმე პირობებში, როდესაც მრავალი დაბრკოლება იყო გადალახავი და დასაძლევი განახლებული ცხოვრების გზაზე, ახლა, როცა უკვე მდიდარი გამოცდილებაც მოგვეპოვება, გზაც ძირითადად გაწმენდილია ნარეკლებისაგან და სხვადასხვა სახის დაბრკოლებათაგან, თანაც, როცა საბჭოთა კავშირი ძლიერია და არც განმარტოებულია მსოფლიოში, წარმომიდგენია, რა სწრაფი ტემპით უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყანა მომავალში, თუ როგორმე მოხერხდა მშვიდობიანობის შენარჩუნება, რომლისკენაც მივისწრაფვით და რომლისთვისაც აქტიურად ვმოქმედებთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩვენს რესპუბლიკაში დიდ სახალხო დღესასწაულად იქცა. ამომრჩეველებმა უყოყმანოდ მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიერების ბლოკის კანდიდატებს და ამით კვლავ დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას შინ თუ გარეთ.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან დღემდე ოთხმა წელიწადმა განვლო. ეს წლები სავსე იყო უდიდესი მნიშვნელობის ამბებით: დიდი მუშაობაა გაწეული სხვადასხვა დარგში, როგორიც არის სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, კულტურა და განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და სხვ. უთუოდ დიდი იყო მშენებლობის ტემპი: ახალი საცხოვრებელი სახლები თუ სკოლები, საავადმყოფო-პოლიკლინიკები თუ საბავშვო დაწესებულებანი და სხვა — ყველაფერი ეს შედეგია პარტიის და ხელისუფლების მზრუნველობისა მშრომელი ხალხისათვის.

ნურვის უკვირს, თუ დიდ მიღწევებთან ერთად შეიძლება ზოგჯერ რაიმე ნაკლიც იყოს ამა თუ იმ უბანზე, მაგრამ ეს ხომ ბუნებრივია და მათ გამოსწორება უნდა. სწორედ ამ გამოსწორებისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი მუდმივი კომისიების ყურადღება, რომელთაც დღეს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აირჩევს.

ამხანაგო დეპუტატებო!

ამომრჩევლებმა დიდი ნდობა გამოგვიცხადეს და წარმოგვგზავნეს ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ჩვენგანი არ დაზოგავს თავს, არ დაიშურებს ცოდნას და გამოცდილებას, რომ ეს დიდი ნდობა გაამართლოს. დეპუტატი ხალხის მსახურია და ჩვენ ვალდებული ვართ მთელი მონდომებით ვემსახუროთ მას, ვიშრომოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

წინ გვიძღვის ნათელი პერსპექტივები. გაბედულად და იმედიანად მივიწევთ წინ ერთხელ არჩეული გზით, რომელიც დიდმა ოქტომბერმა გაუკაფა მრგვალ ერს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ დიდი ამოცანები დაგვისახა და ჩვენ ყოველივე უნდა ვიღონოთ, რომ ეს ამოცანები დროულად და სათანადოდ გადავწყვიტოთ. დიადი გეგმების განხორციელება კიდევ მეტ ძალასა და დოვლათს შემატებს ჩვენს ქვეყანას. სხვათა შორის, მოსაგვარებელია ქართული სალიტერატურო ენის ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხი. ჩვენი ვალია, რომ რუსთაველის ენა, რომელიც წინათ, ცარიზმის დროს უფლებაყრილი იყო, ხოლო ლენინის ხანაში სახელმწიფო ენად იქცა, გამდიდრდა, დაიხვეწა და მოიქნა, კიდევ უფრო სრულყოფილი გახდეს, სათანადოდ მოემსახუროს ხალხს.

ჩვენ კვლავაც უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, რომელიც საწინდარია ქვეყნის შემდგომი აღმავლობისა პროგრესის გზაზე.

ეჭვი არ არის, რომ სამგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველო დიდი საბჭოთა კავშირის ერთა ძმურ ოჯახში კვლავაც გასწევს წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის წინსვლის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ჩვენი ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ხომალდის მესაჭე არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა განაგრძობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას გახსნილად ვაცხადებ.

ამხანაგო დეპუტატებო! რამდენიმე დღის წინათ მთელი საბჭოთა ქვეყანა და მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება მოიცვა გლოვამ იმის გამო, რომ კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-11“-ის ეკიპაჟი, რომელმაც განსაცვიფრებელი ექსპერიმენტი შეასრულა, დედამიწაზე დაბრუნებისას დაიღუპა. გმირმა კოსმონავტებმა გიორგი დობროვოლსკიმ, ვლადისლავ ვოლკოვმა და ვიქტორ პაცაევმა თავი გაწირეს მეცნიერებისა და სამშობლოსათვის და მათი სახელები მარად შემკობილი იქნება უჭკნობი დიდებით და სამაგალითოდ დარჩება შთამომავლობაში.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

გ. ს. ძოწენიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მ. მ. ლელაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ბ. ვ. შინკუბა,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

დ. დ. დიასამიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ზ. ა. კვამაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.



გ. ზ. ბარსუკოვი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ა. გ. გაბიაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ზ. ნ. გასიევი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

თ. მ. თავაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

რ. ბ. მეტრეველი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ვ. პ. მეავანაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ჯ. ი. პატიაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ს. პ. პეტროსიანი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.



ს. ს. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

რ. თ. ციცაგი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ა. ე. ჭითანავა,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

გ. ა. ჭოლოშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

უ. მ. ჯაფარიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

რ. ა. ჯაფარიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები

ი. ბ. აბაშიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

ბ. ნ. გრიგალაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



შ. მ. შაკაია,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



ლ. ა. ხოზრევანიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



ა. კ. ხუციევი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე:

გიორგი სამსონის-ძე **ძოწენიძე** — დეპუტატი ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები:

მიხეილ მიხეილის-ძე **ლელაშვილი** — დეპუტატი გურჯაანის რაიონის ვეჯინის საარჩევნო ოლქისაგან.

ბაგრატ ვასილის-ძე **შინკუბა** — დეპუტატი აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოჩამჩირის რაიონის პირველი საარჩევნო ოლქისაგან.

დავით დურსუნის-ძე **დიასამიძე** — დეპუტატი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზინაიდა არსენის ასული **კვაჭაძე** — დეპუტატი ქალაქ თბილისის მშენებელთა საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები:

ბორის ზაქარიას-ძე **ბარსუკოვი** — დეპუტატი ქალაქ თბილისის ბარათაშვილის საარჩევნო ოლქისაგან.

ალექსი გიორგის-ძე **ბატიაშვილი** — დეპუტატი თელავის რაიონის წინანდლის საარჩევნო ოლქისაგან.

ზნაურ ნიკოლოზის-ძე **გასიევი** — დეპუტატი ჯავის რაიონის ჯავის საარჩევნო ოლქისაგან.

თამარ მიხეილის ასული **თავაძე** — დეპუტატი სამტრედიის რაიონის მარტვილის საარჩევნო ოლქისაგან.

როინ ბიქტორის-ძე **მეტრეველი** — დეპუტატი გორის რაიონის ატენის საარჩევნო ოლქისაგან.

ვასილ პავლეს-ძე **მუავანაძე** — დეპუტატი ქალაქ თბილისის საქარხნო საარჩევნო ოლქისაგან.

ჯუმბერ ილიას-ძე **პატიაშვილი** — დეპუტატი ლანჩხუთის რაიონის ლანჩხუთის საარჩევნო ოლქისაგან.

სიმონ პეტროსის-ძე **პეტროსიანი** — დეპუტატი ახალქალაქის რაიონის ოკამის საარჩევნო ოლქისაგან.

სერგო სილიბისტროს-ძე **სიხარულიძე** — დეპუტატი ქალაქ ქუთაისის ლესელიძის საარჩევნო ოლქისაგან.

რუსუდან თევდორეს ასული **ციცაგი** — დეპუტატი ქალაქ თბილისის საბჭოს საარჩევნო ოლქისაგან.

ალექსანდრე ესტატეს-ძე **ჭითანავა** — დეპუტატი ზუგდიდის რაიონის დარჩელის საარჩევნო ოლქისაგან.

გურამ აკაკის-ძე **ჭოლოშვილი** — დეპუტატი ქალაქ თბილისის პისარევის საარჩევნო ოლქისაგან.

უჩა მალაქიას-ძე **ჯაფარიძე** — დეპუტატი ამბროლაურის რაიონის ამბროლაურის საარჩევნო ოლქისაგან.

რუსუდან ალექსანდრეს ასული **ჯაფარიძე** — დეპუტატი ქალაქ რუსთავის კომკავშირელთა საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი. 1971 წლის 12 ივლისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ს. მ. მიქაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო 1971 წლის 13 ივნისს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა აირჩიეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭო. არჩევნები ჩატარდა მოსახლეობის მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლისა და საქართველოს ნახევარი საუკუნის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების ვითარებაში.

არჩევნების შედეგები დამაჯერებლად ადასტურებენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კიდევ ერთ ბრწყინვალე გამარჯვებას, ხალხის ერთიანობასა და დაახლოებულობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.821.713 კაცმა ანუ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 2.821.523 კაცმა ანუ 99,99 პროცენტმა. დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა 190 კაცმა, რაც 0,01 პროცენტს შეადგენს.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ კონსტიტუციის 37-ე მუხლის საფუძველზე სამანდატო კომისიამ განიხილა თვითეულ საარჩევნო ოლქში საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმები დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ, დეპუტატობის კანდიდატთა განცხადებები იმის შესახებ, რომ ისინი თანახმა არიან კენჭი იყარონ, საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის ოქმები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები და დაადგინა, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ყველა 400 საარჩევნო ოლქში ჩატარდა საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

არავითარი საჩივარი ან განცხადება, რომელიც საჩივრის გადიდა არჩევნების შედეგებს რომელიმე ოლქში, სამანდატო კომისიას არ მიუღია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან შუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები, რომლებიც წარმატებით შრომობენ სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მათ შორის 109 მუშაა, რაც დეპუტატთა საერთო რაოდენობის 27,3 პროცენტს შეადგენს, 92 კოლმეურნეა ანუ 23,0 პროცენტი. ესენი არიან სახელგანთქმულ მანქანათმშენებლთა, მეტალურგთა, ტრანსპორტის მუშაკთა, მშენებლთა, ფეიერართა საკავშირო წარმომადგენლები, საკოლმეურნეო მინდვრების და მეცხოველეობის ფერმების მოწინავე ადამიანები.

დეპუტატებად არჩეული არიან საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მეცნიერებისა და კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის 27 მუშაკი, პარტიული და საბჭოთა ორგანოების 148 ხელმძღვანელი მუშაკი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების 3 მუშაკი, საბჭოთა არმიის 7 წარმომადგენელი.

ჩვენს რესპუბლიკაში კულტურის მაღალ დონეს მოწმობენ მონაცემები დეპუტატთა განათლების შესახებ. 206 დეპუტატს ანუ 51,5 პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 116 დეპუტატს ანუ 29,0 პროცენტს — საშუალო განათლება, 44 დეპუტატს ანუ 11,0 პროცენტს აქვს სამეცნიერო ხარისხი, 334 დეპუტატი ანუ 85,3 პროცენტი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, მათ შორის 19 საბჭოთა კავშირის და სოციალისტური შრომის გმირია.

დეპუტატთა შორის 10 აკადემიკოსი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, 18 მეცნიერებათა დოქტორი, 6 დეპუტატი ლენინური და სახელმწიფო პრემიის ლაურეატია.

დეპუტატთა შორის 141 ქალია ანუ 35,3 პროცენტი. დეპუტატი ქალები არიან ქარხნებისა და ფაბრიკების მოწინავე მუშები, საკოლმეურნეო მინდვრის მშრომელები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები. ეს ნათლად გვიჩვენებს იმ დიდ როლს, რომელსაც ქალები ასრულებენ სახელმწიფოს მართვის საქმეში.

136 დეპუტატი ანუ 34,0 პროცენტი უპარტიოა, მათ შორის 23 საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის წევრია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობა ასაკის მიხედვით შემდეგი მონაცემებით ხასიათდება: 30 წლის ასაკამდე 54 ანუ 13,5 პროცენტი, 30-დან 40 წლამდე — 80 ანუ 20,0 პროცენტი. 40 წლიდან 50 წლამდე — 134 ანუ 33,6 პროცენტი, 50 წლისა და ზევით — 132 ანუ 30,0 პროცენტი.

ეროვნების მიხედვით ქართველია — 323, რუსი — 23, სომეხი — 15, აზერბაიჯანელი —10, აფხაზი — 13, ოსი — 8, უკრაინელი — 2 და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელია 6 დეპუტატი.

უმაღლესი საბჭოს მრავალეროვანი შემადგენლობა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი, ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნათელ დადასტურებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სამანდატო კომისიას წინადადება შემოაქვს ცნობილ იქნას ყველა საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატის რწმუნებანი.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესმა საბჭომ უნდა გადაწყვიტოს ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ბეჯითი მუშაობით გაამართლებენ მათთვის ხალხის მიერ გამოცხადებულ ამ დიდ ნდობას.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ მთავრობის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ მთავრობა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — გივი დიმიტრის-ძე **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი — შალვა დავითის-ძე **კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ზაალ ბესარიონის-ძე **გელდიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ვალერიან ივლიანეს-ძე **ვადაჭკორია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — არქიპო მირონის-ძე **ლაბახუა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ვიქტორია მოსეს ასული **სირაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე — ერმალო მინას-ძე **ჯაფარიძე.**

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი — ვასილ ალექსანდრეს-ძე **ჩოფიკაშვილი.**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი — თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი.**

საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი — მიხეილ ბახვას-ძე **ნარსია.**

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი — ვახტანგ ზაქარიას ძე **თოხაძე.**

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი — ვლადიმერ ივანეს-ძე **მაისურაძე.**

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი — კონსტანტინე ივანეს-ძე **ქავთარაძე.**

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი — ადოლფ ვარლამის-ძე **ხუროძე.**

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი — ვახტანგ ალექსანდრეს ძე **პაატაშვილი.**

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი — ოთარ ვასილის-ძე **თაქთაქიშვილი.**

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი — გიორგი სამსონის-ძე **ქობულია.**

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი — მიხეილ ფილიპეს-ძე **ჩხეიძე.**

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი — ფატმა დავითის ასული **დუმბაძე.**

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი — გრიგოლ სილიბისტროს-ძე **ვაშაკიძე.**

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი — გიორგი ვლადიმერის-ძე **რობიტაშვილი.**

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი — თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე **დავითაშვილი.**

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი — მიხეილ ბაგრატის-ძე **ღვინჭილია.**

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი — იოსებ ალექსის-ძე **ხარატიშვილი.**

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი — სიმონ სევერიანის-ძე **ლორთქიფანიძე.**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი — იოსებ გიორგის-ძე **რთველიაშვილი.**

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — მიხეილ ესტატეს-ძე **თოფურიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი — გიორგი ნიკოლოზის-ძე **ჯიბლაძე.**

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი — არჩილ ვარლამის-ძე **ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი — ედუარდ ამბროსის-ძე **შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი — შოთა ანდრიას-ძე **დოლიძე.**

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი — გივი ალექსანდრეს-ძე **დუჩიძე.**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ვახტანგ გაბრიელის-ძე **ბოჭორიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — ირაკლი ნიკოლოზის-ძე **ციციშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე — ვიქტორ სტეფანეს-ძე **კვარაცხელია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — გივი შალვას-ძე **მიქელაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — კარლო კონსტანტინეს-ძე **გარდაფხაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — მიხეილ თეოფანეს-ძე **ჩიხლაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე — ალექსი ნიკოლოზის-ძე **ინაური.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — შალვა ალექსანდრეს-ძე **სალარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — გიორგი იოსების-ძე **ხუციშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — მიტროფანე იონას-ძე **კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — მიხეილ გერასიმეს-ძე **ჩიქოვანი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის — საქკონსერვხილბოსტნის თავმჯდომარე — დავით გიორგის-ძე **შარაშიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — კონდრატე სოკრატის-ძე **ციმაკურიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების რესპუბლიკური გაერთიანების — საქსოფლტექნიკის თავმჯდომარე — ივანე მიხეილის-ძე **ხოხლოვი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი — მიხეილ გალაქტიონის-ძე **კოდუა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი — გიორგი ნიკოლოზის-ძე **ბარძიმოვი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი — გრიგოლ დავითის-ძე **ჟორჟიკაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსი — ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე **განგია.**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით:

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — პავლე გიორგის-ძე **გილაშვილი.**

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ლევან მიხეილის-ძე **დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი. 1971 წლის 12 ივლისი.

საბჭოთა კავშირ-იტალიის კომუნიკე

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. მოროს მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც მეგობრულ ატმოსფერომი მიმდინარეობდა, კონსტრუქციული სულისკვეთებით განიხილეს მსოფლიოს ახლანდელი ვითარების აქტუალური პრობლემები და საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკოსმა ბატონ ა. მოროს ინფორმაცია მისცა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის მოსამზადებელ ეტაპზე ორმხრივ ურთიერთობებზე, ინდოჩინეთის ომის, ახლო აღმოსავლეთის, ევროპის ცენტრალურ ნაწილში ძალის გამოყენებისგან უარის თქმის, ევროპაში ტერიტორიული ცვლილებების ფორმალიზაციის, ევროპაში ჯარების შემცირებისა და ბალკანეთში ბალანსის საკითხებზე.

ორივე მხარე ეთანხმებოდა, რომ ევროპაში ტერიტორიული ცვლილებების ფორმალიზაციის, ევროპაში ჯარების შემცირებისა და ბალკანეთში ბალანსის საკითხებზე ინტენსიური მოლაპარაკებებია საჭირო.

ორივე მხარე ეთანხმებოდა, რომ ინდოჩინეთში ომი ეტაპობრივ, ეტაპობრივ, ეტაპობრივ,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო



გ. დ. ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

შ. დ. კიკნაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი.

ზ. გ. გელდიაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ვ. ი. ვადაჭკორია,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



ა. მ. ლაბახუა,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ვ. მ. სირაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ე. მ. ჯაფარიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე.



ვ. ა. ჩოფიკაშვილი,
საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი.

თ. ვ. ლაშქარაშვილი,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

მ. ბ. ნარსია,
საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი.

ვ. ზ. თოხაძე,
საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

ვ. ი. მაისურაძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

კ. ი. ქავთარაძე,
საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი.

ა. ვ. ხუროძე,
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი.

ვ. ა. პაატაშვილი,
საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი.

ო. ვ. თაქთაქიშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.



გ. ს. ქოგულია,
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი.

მ. ფ. ჩხეიძე,
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი.

ფ. დ. დუმბაძე,
საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი.



გ. ს. ვაშაკიძე,
საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი.



გ. ვ. როგიტაშვილი,
საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი.

თ. ნ. დავითაშვილი,
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი

მ. გ. ღვინჯილია,
საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი.

ი. ა. ხარატიშვილი,
საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი.



ს. ს. ლორთქიფანიძე,
საქართველოს სსრ საშინაო საქმეთა მრეწველობის მინისტრი.

ი. გ. რთველიაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.



მ. ე. თოფურიძე,
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.

გ. ნ. ჯიბლაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

ა. ვ. ჭირაქაძე,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

ე. ა. შევარდნაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

შ. ა. დოლიძე,
საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი.

გ. ა. დუჩიძე,
საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი.

ვ. გ. ბოჭორიშვილი,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

ი. ნ. ციციშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ვ. ს. კვარაცხელია,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

გ. შ. მიქელაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

კ. კ. გარდაფხაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

მ. თ. ჩიხლაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ა. ნ. ინაური,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.



შ. ა. სალარიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

გ. ი. ხუციშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გეგმითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

მ. ი. კუჭავა,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

მ. გ. ჩიქოვანი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

დ. გ. შარაშიძე,
ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილ-ბოსტნის“ თავმჯდომარე.



კ. ს. ციმაკურიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ი. მ. ხოხლოვი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე.

მ. გ. კოდუა,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი.

გ. ნ. გარეიმოვი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი.

გ. დ. ჟორჟიკაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

ა. კ. განგია,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსი.

პ. გ. გილაშვილი,
აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.



ლ. მ. დავითაძე,
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

მშრომელთა კეთილდღეობისათვის

(დასასრული)

დეპუტატი ა. გ. შანიძე სთხოვს დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი აცეს საბჭოთა გმირების უკვდავ ხსოვნას.

შემდეგ საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად უმაღლესი საბჭო შეუდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების არჩევას.

სიტყვა მიეცა დეპუტატ **რ. ვ. მეტრეველს.** უხუცესთა საბჭოს დავალებით მან წინადადება შეიტანა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიონ **ი. ბ. აბაშიძე** — დეპუტატი ზესტაფონის რაიონის კვალითის საარჩევნო ოლქისაგან.

ეს წინადადება ერთსულოვნად მიიღეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს: **ბ. ნ. გრიგალაშვილი** — დეპუტატი ქ. თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქისაგან, **შ. შ. შაკაია** — დეპუტატი ქ. ტყვარჩელის კვეზანის საარჩევნო ოლქისაგან, **ლ. ა. ხოზრევანიძე** — დეპუტატი შუახევის რაიონის შუახევის საარჩევნო ოლქისაგან, **ა. კ. ხუციევი** — დეპუტატი ჯავის რაიონის კვაისის საარჩევნო ოლქისაგან.

მიიღეს სესიის დღის წესრიგი. დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევა.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.

5. საქართველოს სსრ მთავრობის — მინისტრთა საბჭოს შექმნა.

6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

7. საქართველოს სსრ მიწის კოდექსის დამტკიცება.

შემდეგ განსაზღვრეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების რეგლამენტი.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რწმუნებულებათა შესამოწმებლად აირჩიეს სამანდატო კომისია 19 კაცის შემადგენლობით. სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს **ხ. მ. მიქაძე** — დეპუტატი ქ. თბილისის თბილისის საარჩევნო ოლქისაგან.

სესია გადადგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვაზე. ერთხმად შექმნეს 14 მუდმივი კომისია. აირჩიეს შემდეგი კომისიები:

საგარეო საქმეთა კომისია 21 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **მ. ა. გოგიჩაიშვილი** — დეპუტატი მარნეულის რაიონის ალგეთის საარჩევნო ოლქისაგან.

საკანონმდებლო განზრახულებათა კომისია 19 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **შ. ი. ჭანუყვაძე** — დეპუტატი გორის რაიონის კარალეთის საარჩევნო ოლქისაგან.

საგეგმო-სავიჭრეო კომისია 21 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **ნ. შ. ცხაკაია** — დეპუტატი ქარელის რაიონის კეხიჭვრის საარჩევნო ოლქისაგან.

მრეწველობის კომისია 21 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **ზ. ა. ჩხეიძე** — დეპუტატი ქ. რუსთავის ქიმიკოსთა საარჩევნო ოლქისაგან.

სოფლის მეურნეობის კომისია 23 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **პ. მ. ყლეტი** — დეპუტატი წყალტუბოს რაიონის ოფურჩხეთის საარჩევნო ოლქისაგან.

მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისია 21 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **ნ. გ. ესაკია** — დეპუტატი ქ. ზუგდიდის ლენინის საარჩევნო ოლქისაგან.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისია 21 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **ნ. დ. ბერიძე** — დეპუტატი ქ. თბილისის ბენდელიანის საარჩევნო ოლქისაგან.

სახალხო განათლებისა და მეცნიერების კომისია 23 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **ი. მ. ბუაჩიძე** — დეპუტატი ქ. თბილისის ფალიაშვილის საარჩევნო ოლქისაგან.

კულტურის კომისია 23 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **ხ. ტ. რიგვავა** — დეპუტატი ქ. თბილისის გ. ტაბიძის საარჩევნო ოლქისაგან.

ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისია 23 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **პ. გ. გელბახიანი** — დეპუტატი ქ. ჭიათურის ზოდის საარჩევნო ოლქისაგან.

ახალგაზრდობის საქმეთა კომისია 21 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **ო. ე. ჩერქეზია** — დეპუტატი გურჯაანის რაიონის კარდანახის საარჩევნო ოლქისაგან.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კომისია 23 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **მ. მ. დანელია** — დეპუტატი ქ. თბილისის კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქისაგან.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისია 23 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **ნ. ა. ყვანია** — დეპუტატი ქ. თბილისის გურამიშვილის საარჩევნო ოლქისაგან.

ბუნების დაცვის კომისია 21 დეპუტატის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარე **გ. კ. ნატროშვილი** — დეპუტატი საგარეჯოს რაიონის მანავის საარჩევნო ოლქისაგან.

შემდეგ სესიამ დაიწყო დღის წესრიგის მომდევნო საკითხის განხილვა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ზ. ა. კვაჭაძემ.**

სესიაზე შუა პერიოდში მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ერთხმად დაამტკიცეს.

შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **გ. დ. ჯავახიშვილის** განცხადება, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობა იხსნის რწმუნებულებებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ვ. პ. მეჟავანაძემ** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს დავალებით შეიტანა წინადადება, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ დაინიშნოს დეპუტატი **გ. დ. ჯავახიშვილი** და დაევალოს მას წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წინადადება საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ცნობად მიიღოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება, რომ საქართველოა სსრ მთავრობა იხსნის რწმუნებულებებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე, კვლავ დანიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატი **გ. დ. ჯავახიშვილი,** დაავალოს მას წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წინადადება მთავრობის შემადგენლობის შესახებ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალოს განაგრძოს თავისი მოვალეობის შესრულება ამ სესიაზე საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი მთავრობის შექმნამდე.

გამოცხადდა შესვენება.

შესვენების შემდეგ სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის **ხ. მ. მიქაძის** მოხსენება საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლეს საბჭოში არჩეული დეპუტატების რწმუნებულებათა შემოწმების შესახებ.

სესიამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება და დაადგინა: საქართველოს სსრ კონსტიტუციის 37-ე მუხლის საფუძველზე ცნობილ იქნას ყველა საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 400 დეპუტატის რწმუნებულებანი“.

შემდეგ უმაღლესი საბჭო გადავიდა დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს დავალებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ვ. პ. მეჟავანაძეს** შემოაქვს წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულ იქნას დეპუტატ **გ. ხ. ძოწენიძე.**

უმაღლესი საბჭო ერთხმად იჩენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დეპუტატ **გ. ხ. ძოწენიძეს** (ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დეპუტატ **გ. ხ. ძოწენიძეს** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს დავალებით სესიის განსახილველად შეაქვს წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 34-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეულ უნდა იქნას პრეზიდიუმის თავმჯდომარის სამი მოადგილე, პრეზიდიუმის მდივანი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 14 წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად ირჩევენ **მ. მ. ლელაშვილს** — დეპუტატს გურჯაანის რაიონის ვეჯინის საარჩევნო ოლქისაგან, **ბ. ვ. შინაუბას** — დეპუტატს ოჩამჩირის რაიონის ოჩამჩირის პირველი საარჩევნო ოლქისაგან — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, **დ. დ. დიასამიძეს** — დეპუტატს ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საარჩევნო ოლქისაგან — აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ირჩევენ **ზ. ა. კვაჭაძეს** — დეპუტატს ქალაქ თბილისის მშენებელთა საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად აირჩიეს: **ბ. ზ. ბარსუკოვი** — დეპუტატი ქ. თბილისის ბარათაშვილის საარჩევნო ოლქისაგან, **ა. გ. ბატიაშვილი** — დეპუტატი თელავის რაიონის წინანდლის საარჩევნო ოლქისაგან, **ზ. ნ. გასიევი** — დეპუტატი ჯავის რაიონის ჯავის საარჩევნო ოლქისაგან, **უ. მ. ჯაფარიძე** — დეპუტატი ამბროლაურის რაიონის ამბროლაურის საარჩევნო ოლქისაგან, **რ. ა. ჯაფარიძე** — დეპუტატი ქ. რუსთავის კომკავშირის საარჩევნო ოლქისაგან, **რ. ვ. მეტრეველი** — დეპუტატი გორის რაიონის ატენის საარჩევნო ოლქისაგან, **ვ. პ. მეჟავანაძე** — დეპუტატი ქ. თბილისის საქარხნო საარჩევნო ოლქისაგან, **ჯ. ი. პატიაშვილი** — დეპუტატი ლანჩხუთის რაიონის ლანჩხუთის საარჩევნო ოლქისაგან, **ს. პ. პეტროსიანი** — დეპუტატი ახალქალაქის რაიონის ოკამის საარჩევნო ოლქისაგან, **ს. ხ. სიხარულიძე** — დეპუტატი ქ. ქუთაისის ლესელიძის საარჩევნო ოლქისაგან, **თ. მ. თავაძე** — დეპუტატი სამტრედიის რაიონის მარქვლის საარჩევნო ოლქისაგან, **რ. თ. ციცაგი** — დეპუტატი ქ. თბილისის საბჭოს საარჩევნო ოლქისაგან, **ა. ე. ჭითანავა** — დეპუტატი ზუგდიდის რაიონის დარჩელის საარჩევნო ოლქისაგან, **გ. ა. ჭოლოშვილი** — დეპუტატი ქ. თბილისის პისარევის საარჩევნო ოლქისაგან.

ამის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ დაიწყო რესპუბლიკის მთავრობის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნის საკითხის განხილვა.

დეპუტატ **გ. დ. ჯავახიშვილს** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დავალების შესაბამისად სესიის განსახილველად შემოაქვს წინადადება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის შესახებ, რომელიც განიხილა უხუცესთა საბჭომ და მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცეს **გ. დ. ჯავახიშვილი,** თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად — **შ. დ. კიკნაძე,** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედად — **ზ. ბ. გელდიაშვილი, ვ. ი. ვადაჭკორია, ა. მ. ლაბახუა, ვ. მ. სირაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ — **ე. მ. ჯაფარიძე,** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად — **ვ. ა. ჩოფიკაშვილი,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრად — **თ. ვ. ლაშქარაშვილი,** საქართველოს სსრ დამზადების მინისტრად — **მ. ბ. ნარსია,** საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად — **ვ. ზ. თოხაძე,** საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად — **ვ. ი. მაისურაძე,** საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრად — **კ. ი. ქავთარაძე,** საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად — **ა. ვ.ხუროძე,** საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად — **ვ. ა. ბაკატაშვილი,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად — **ო. ვ. თაქთაქიშვილი,** საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრად—**გ. ხ. ქობულია,** საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად — **მ. ფ. ჩხეიძე,** საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად — **ფ. დ. დუმბაძე,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად — **გ. ხ. ვაშაკიძე,** საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრად — **გ. ვ. რობიტაშვილი,** საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრად — **თ. ნ. დავითაშვილი,** საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად — **მ. ბ. ღვინჭილია,** საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად — **ი. ა. ხარაგიშვილი,** საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად — **ს. ხ. ლორთქიფანიძე,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად — **ი. გ. რთველიაშვილი,** საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად — **მ. ე. თოფურიძე,** საქართველოს სსრ.უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად — **გ. ნ. ჯიბლაძე,** საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად — **ა. ვ. ჭირაქაძე,** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად — **ე. ა. შეგარდნაძე,** საქართველოს სსრ ხეტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის მინისტრად — **შ. ა. დოლიძე,** საქართველოს სსრ ზორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად — **გ. ა. დუჩიძე,** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად — **ვ. გ. ბოჭორიშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **ი. ნ. ციცაშვილი,** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ — **ვ. ხ. კვარაცხელია,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **გ. შ. მიქელაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **კ. კ. გარდაფხაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **მ. თ. ჩიხლაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ — **ა. ნ. ინაური,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **შ. ა. ხალარიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **გ. ი. ხუციშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **მ. ი. კუჭავა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **მ. გ. ჩიქოვანი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვხილბოსტნის“ — თავმჯდომარედ — **დ. გ. შარაშიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — **კ. ს. ციმაკურიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მაკედონის, კოლმეურნეობებსა და სხვა მეურნეობებსა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთანალიზებისა და ორგანიზაციის — „საქსოფლტექნიკის“ — თავმჯდომარედ — **ი. მ. ხოხლოვი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად — **მ. გ. კოდუა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად — **გ. ნ. ბარძიმოვი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად — **გ. დ. ეორეიკაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსად — **ა. კ. განგია.**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის საფუძველზე შევიდნენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები: აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. გ. გილაშვილი** და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. მ. დავითაძე.**

ამის შემდეგ სესიის დილის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

12 ივლისის საღამოს სხდომა

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის საღამოს სხდომა მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ **ბ. ნ. გრიგალაშვილის** თავმჯდომარეობით.

უმაღლესი საბჭო შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას.

სიტყვა მოხსენებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა“ მიეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ **გ. დ. ჯავახიშვილს.**

დეპუტატები დიდი ყურადღებით უსმენდნენ მოხსენებას, რომელშიც მოცემულია წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების შედეგების ღრმა შეფასება. სესიის ტრიბუნიდან გამოცხადებული მონაცემები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულების შესახებ მოწმობენ, რომ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი წარმატებით შესრულდება.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **ა. ა. ძაძუა** (გალის საარჩევნო ოლქი, გალის რაიონი), **დ. დ. დიასამიძე** (ურეხის საარჩევნო ოლქი, ხელვაჩაურის რაიონი), **გ. ა. ჭოლოშვილი** (პისარევის საარჩევნო ოლქი, ქალაქი თბილისი), **ზ. ნ. გასიევი** (ჯავის საარჩევნო ოლქი, ჯავის რაიონი), **გ. ხ. ვაშაკიძე** (წნორის საარჩევნო ოლქი, სიღნაღის რაიონი). ისინი აღნიშნავდნენ, რომ მეცხრე ხუთწლედის დასაწყისი, წლის პირველი ნახევრის შედეგები გვაჩვენებენ: კარგად დაიწყო მეცხრე ხუთწლედი. თავისი პირველი მოჯნენდიდან იგი ფართოდ და მტკიცედ მიაბიჯებს საქართველოს მიწაწყალზე. მთელ თავიანთ შრომას, მთელ თავიანთ უნარს იხმარენ რესპუბლიკის შრომელები უმაგალითო მასშტაბის ამოცანების შესრულებას, რომლებიც დასახა XXIV ყრილობამ. დეპუტატებმა და კამათში გამოსულმა ორატორებმა დაწვრილებით ილაპარაკეს, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ქარხნებსა და ფაბრიკებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, როგორ იბრძვიან საქართველოს მშრომელები მოსკოველთა და ლენინგრადელთა მაგალითისამებრ ნაკისრი გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. გამოსვლათა ლაკონიური სტრიქონები, ციფრების მოკლე ჩამოთვლის მიღმა გვესახება დიდი აღმშენებლობითი შრომის პანორამა, რომლის შედეგებს თვალნათლივ ვხედავთ. რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, 26 ივნისისათვის დაამთავრა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ნახევარი წლის გეგმის შესრულება, ამავე დროისათვის პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს თბილისის მრეწველობის მშრომელებმაც. სამშობლომ მიიღო ათასობით ტონა ზეგეგმითი მარგანეცი, ქვანახშირი, ნაგლინი, თუჯი და სხვა პროდუქცია, წარმატებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

გულმოდგინედ და ყოველმხრივ განიხილავდნენ რა წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგებს, დეპუტატები აღნიშნავდნენ არსებულ ნაკლოვანებებს — ჯერ კიდევ არის საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, დაგროვებისა და ნაწარმის თვითღირებულების შემცირების გეგმებს. ცალკეული სამინისტროები აჭიანურებენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გეგმების განხორციელებას. მთელ რიგ რაიონებში კვლავ დაბალია საოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ამოცანა ის არის, აღნიშნეს ორატორებმა, რომ რაც შეიძლება სწრაფად აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი, ავამოქმედოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების გადიდების ყველა არსებული რეზერვი, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ ბრძოლა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის.

ამის შემდეგ საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის საღამოს სხდომა დახურულად გამოცხადდა. (**საქდესი**).

მაღალნაყოფიერი გავხადოთ ბუნებრივი სათიბ-საძოვრები!

საქართველოს შრომის ფითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიმართვა

საქართველოს სსრ ყველა უმაღლესი და საშუალო განათლების სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებისა და მოსწავლეებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა საყოველთაო-სახალხო საქმედ გამოაცხადა. ყრილობის დირექტივებში სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამობილი პირუტყვის საკვებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების საკითხებს.

პარტიის XXIV ყრილობის ტრიბუნიდან ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი** მიუთითებდა, რომ **მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი უპირველესი გარანტია საკვები ბაზის განმტკიცებაა.**

ახლა ამოცანა ის არის, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს დამოკიდებულება საკვები კულტურების მოვლა-მოყვანისადმი. მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებრივი სათიბ-საძოვრების გაუმჯობესებასა და მათი მოსავლიანობის ამაღლებას, ქვებისაგან, სარეველებისა და შხამიანი ბალახებისაგან გაწმენდას, გაწყლოვანებას.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები გულდასმით გავეცანით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას **„სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რესპუბლიკაში პირუტყვის საკვებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“,** ამასთან ერთად მოსკოვის ოლქის მშრომელთა პატრიოტულ ინიციატივას საკვების დამზადების პირველი შაბათობისა და კვირაობის მოწყობის შესახებ.

ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა დიდი სახელმწიფოებრივი და სახალხო მნიშვნელობა აქვს პირუტყვის საკვით საკვებით უზრუნველყოფისათვის სათიბ-საძოვრების გაუმჯობესებას, მინდვრებსა და ბუნებრივ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ტყისპირა და გზისპირა ზოლებში ბალახების უდანაკარგოდ აღებას, საკმაო რაოდენობით თივის, სილოსის, ძირხვენების დამზადებას.

ძვირფასო მეგობრებო! მოგიწოდებთ აქტიურად ჩაებათ ამ დიდ საქმეში, ხელი შეუწყოთ მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას.

ამ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის ჩვენი მხრივ ვკისრულობთ შემდეგ **ვალდებულებებს:**

ინსტიტუტის 500 სტუდენტისაგან შემდგარი ბრიგადები, პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით, ერთი თვის განმავლობაში დაეხმარებიან დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მინდვრებსა და ბუნებრივ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ბალახისა და სასილოსე მწვანე მასის შეგროვების საქმეში.

დუშეთის რაიონის ახალგაზრდობასთან ერთად 10.000 ჰექტარ სათიბ და საძოვარ ფართობს გავწმენდთ ქვებისაგან, სარეველა და შხამიანი ბალახებისაგან.

მეცხოველეობის საზოგადოებრივ ფერმებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ინსტიტუტის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ამ საქმეში დაეხმარებიან მეცხოველეობის 10 ფერმას.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტის 25 სტუდენტი მონაწილეობას მიიღებს კახეთის რაიონში ფერმების მექანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში სასწავლო და საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი 500-ზე მეტი სტუდენტი დაეხმარებას გაუწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საკვების დამზადების საქმეში და თვითეული მათგანი დაამზადებს არანაკლებ 400 კილოგრამ თივასა და სასილოსე მწვანე მასას.

მეცხოველეობის კათედრა დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებისათვის დაამუშავებს კვების მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებსა და რაციონს.

მეცნიერებისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრების მიერ შედგენილი იქნება საკვები თესლბრუნვების ვარიანტები და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა სისტემა.

ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის 25 სტუდენტი მონაწილეობას მიიღებს სათიბ-საძოვრების გაწყლოვანების სამუშაოებში.

ინსტიტუტში ფართოდ გაიშლება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საკვები კულტურების ახალი სელექციური ჯიშების მიღების, სათიბებისა და საძოვრების განოყიერების, სარეველებისა და შხამიანი ბალახების წინააღმდეგ ქიმიური და მექანიკური ბრძოლის, ფერმების მექანიზაციის, მეცხოველეობაში შრომის ორგანიზაციის, სათიბებისა და საძოვრების მორწყვის დარგში და სხვ.

ვკისრულობთ რა აღნიშნულ ვალდებულებებს, სოცშეჯიბრებაში ვიწევთ ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ტექნიკუმის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, სოფლისა და ქალაქის მთელ ახალგაზრდობას. ძვირფასო ამხანაგებო! იმედი გვაქვს აქტიურად დაუჭერთ მხარს ჩვენს თაოსნობას.

მიმართვა მიღებულია საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა აქტივის კრებაზე.

მსოფლიო დღეს

მაროკოს ამბები

რაბათი. 11 ივლისი. (**საკდესი**). **გუშინ მაროკოში ჩაახშეს მეფე ჰასან II დამხობის ცდა.**

სამხედრო სასწავლებლის კურსანტები, რომლებსაც მეთაურობდა სამეფო სამხედრო კაბინეტის დირექტორი გენერალი მოჰამედ მედბუჰი, თავს დაესხნენ მეფის სხირატის სასახლეს რაბათის მახლობლად, სადაც იმ დროს მიმდინარეობდა დიპლომ